ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 36 (5066)

1974 წ. 20 თებერვალი ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# აფხაზეთის ასს რესპუბლიკას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი

18 თებერვალს სოხუმის ს. ჭანბას სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ღირსშესანიშნავ მოვლენას აფხაზი ხალხის ცხოვრებაში — ავტონომიური რესპუბლიკისთვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს. მან ილაპარაკა აფხაზი მშრომელების დიდ წვლილზე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. შემდეგ გ. დ. ჯავახიშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ. საზეიმო კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში მან ხალხთა მეგობრობის ორდენი მიაბნია აფხაზეთის ასსრ დროშას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ო. კობახიამ.

ტანვარჯიშის დღესასწაული — ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ ტანვარჯიშულ სკოლაში აღზრდილთა შეხვედრას ახალბედა სპორტსმენებთან. ამ სკოლას ჩინებული ტრადიციები აქვს. სკოლის მესვეურებმა კარგად იციან, რომ ტრადიციებს მარტო შენარჩუნება კი არა, განმტკიცება-განვითარებაც სჭირდება. მათ ისიც კარგად იციან, თუ რა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ახალბედებზე გამოცდილი, სახელოვანი სპორტსმენები. ამიტომ იყო, რომ ამას წინათ სკოლის ხელმძღვანელობამ ორი თაობის შეხვედრა მოაწყო, რაც ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მ. ზარგარიანის სურათებზეა აღბეჭდილი.

აქ, ამ სკოლაში აღიზარდნენ ისინიც, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები: მ. ჯუღელი, მ. ნინოშვილი, დ. ჯანუყაშვილი, რ. ბერიკაშვილი, ნ. მაკალათია, მ. ბოგუსი, რ. პერტენავა, რ. მიქაძე, გ. გრომოვი, ი. ბალიაური, შ. აზარაშვილი... შეხვედრაზე იყვნენ ისინი, ვინც ტანვარჯიშში უკვე მოიპოვა სახახელო წარმატებები, მაგრამ სკოლა ჯერ არ დაუმთავრებია და კვლავ ხვეწს ოსტატობას: სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები — ვ. კევლიშვილი და მ. თათარაძე, იყვნენ ისინიც, ვინც მომავალში უნდა ასახელოს ჩვენი ტანვარჯიში.

## რეკორდები

**სოფია, 18 თებერვალი.** სტუდენტ მძლეოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ასპარეზობაში დარბაზებისთვის ევროპის მიღწევა დაამყარა ბელგიელმა ა. ბრიდენბახმა, რომელმაც 400 მეტრი 45,9 წამში გაირბინა.

**სან-დიეგო, 18 თებერვალი.** აშშ-ს ამ ქალაქში მოწყობილ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 4 მსოფლიოს და 1 ევროპის მიღწევა დამყარდა. ამერიკელმა მორბენალმა ქალმა ფ. ლარიუმ 2 მილის გარბენას 9.39,4 მოანდომა და გააუმჯობესა კიეველი თ. პანგელოვას მიერ შარშან დამყარებული მსოფლიო რეკორდი. 2000 მეტრიც სარეკორდო დროში დაფარა, როცა ამ მანძილის გარბენას 9.02,5 მოანდომა. 15 წლის გოგონამ მ. დეკერმა 880 იარდზე რბენაში 4,3 წამით გააუმჯობესა მის მიერვე ამას წინათ დამყარებული მსოფლიო მიღწევა. მისი დროა 2.02,4. დეკერმა ამ მანძილის გარბენისას 800 მეტრზეც მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 2.01,8. ეს შედეგი 0,9 წამით სჯობს ბულგარელი ს. იორდანოვას ძველ რეკორდს. ევროპის ახალი მიღწევა დაამყარა შვედმა კ. გარპენბორგმა, რომელმაც 60-იარდიანი მანძილის გარბენას 5,9 წამი მოანდომა.

**ვარშავა, 18 თებერვალი.** პოლონეთის დედაქალაქში ადგილობრივ მძლეოსანთა ასპარეზობისას გ. შორდიკოვსკიმ 1000 მეტრზე რბენაში 0,4 წამით გააუმჯობესა ამერიკელი ტ.-ვ. რუდენის (აშშ) ძველი მსოფლიო მიღწევა. პოლონელი მძლეოსნის შედეგია 2.20,0.

**პარიზი, 18 თებერვალი.** საფრანგეთის დედაქალაქში ჩატარებულ მოცურავეთა საერთაშორისო ასპარეზობაში ლენინგრადელმა სპორტსმენმა გოგონამ გ. მალიუტინამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 5.06,7 აჩვენა. ეს შედეგი ახალი საკავშირო მიღწევაა 25-მეტრიანი აუზებისთვის. მარინა ფინიშთან მესამე იყო. გაიმარჯვა ა. აიფიმ (გდრ) — 5.01,7.

# ფალუნიდან პირველი მერცხალი მოფრინდა

მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღეს თეთრი ბილიკები 5 კილომეტრზე მორბენალ ქალებს დაეთმოთ. მედლებისთვის ბრძოლაში ჩაება 46 სპორტსმენი, რომელთა ერთი ნაწილიც მხოლოდ ოქროს ჯილდოზე აცხადებდა პრეტენზიას. ესენი უმეტესად სსრ კავშირის, ფინეთისა და გდრ-ის წარმომადგენლები იყვნენ. მაგრამ ამ ძვირფასი ლითონის მაცდუნებელ ძალას ვერც სხვებმა გაუძლეს და ყველამ სტარტიდანვე თავბრუდამხვევი ტემპი განავითარა.

ფინიშთან პირველი ნოვოსიბირსკელი ზ. ამოსოვა მიიჭრა — 15.53,9. შემდეგ მისი შედეგი ლენინგრადელმა ნ. ბალდიჩევამ გააუმჯობესა 15.39,11. ეს შედეგი საუკეთესო იყო მანამ, სანამ ასპარეზობას დაამთავრებდა სიკტივკარელი რ. სმეტანინა — 15.34,8. მერე ბალდიჩევას შედეგი კიდევ რამდენიმე მონაწილემ გააუმჯობესა, სმეტანინას კი მხოლოდ ორმა აჯობა. ერთი მათგანი ოლიმპიადის სამგზისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იჟევსკელი გ. კულაკოვა გახლდათ. მისი მაჩვენებელი — 15.17,42 — ბოლომდე ხელუხლებელი დარჩა. ამით კულაკოვამ მსოფლიო ჩემპიონის მესამე ოქროს მედალი მოიპოვა. წლევანდელ შეჯიბრებაში სსრ კავშირის კოლექტივისთვის ეს პირველი უმაღლესი ჯილდო იყო.

შეჯიბრების ფარდის დაშვების წინ სმეტანინას დამარცხება შეძლო ბ. პაულუმაც (ჩეხოსლოვაკია) — 15.19,14. პაულუს ვერცხლის მედალი ჯერჯერობით ამ ჩემპიონატის მთავარი სენსაციაა.

სმეტანინას წილად ხვდა ბრინჯაოს მედალი. სხვა საბჭოთა სპორტსმენების შედეგები ასეთია: ბალდიჩევა — V ადგილი, ამოსოვა — VIII.

დავა დაამთავრეს ორჭიდელებმა. ისევე როგორც „მფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობაში საშუალო ტრამპლინზე, ოქროს და ვერცხლის მედლები აქაც გდრ-ის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. გაიმარჯვა საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონმა უ. ველინგმა, რომელმაც საბოლოოდ 421,14 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა ჰ. ბეკერი (ორივე — გდრ). ბრინჯაო წილად ხვდა პოლონელ ს. გულას. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო გ. კოპაევი (ლენინგრადი), რომელიც მე-19 ადგილს დასჯერდა — 387,37 ქულა.

სამი დღის მერე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გდრ-ის სპორტსმენები დაწინაურდნენ. მათ ორ-ორი ოქროს და ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს.

* * *

სურათებზე: 5 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებული გ. კულაკოვა (ზემოთ) და ბრინჯაოს პრიზიორი რ. სმეტანინა (ქვემოთ).







ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებიდან პირველი, ვინც მედალი დაისაკუთრა, კიროველი „მფრინავი მოთხილამურე“ ა. ბოროვიკინი იყო.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ა. ბოროვიკინი საშუალო ტრამპლინზე ასპარეზობისას.

## სპორტი 74

● **ბაღდადი, 18 თებერვალი.** აქ სტუმრად მყოფი მოსკოვის ცსკა-ს ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდი ამხანაგურ მატჩში შეხვდა ერაყის პოლიციის ნაკრებს და დაამარცხა იგი ანგარიშით 93:72.

● **ნიუ იორკი, 18 თებერვალი.** ფიგურულ ციგურაობაში აშშ-ს ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ ტიტულის შარშანდელი მფლობელი გ. მაკელენი და სპორტული სამყაროსთვის ჯერ კიდევ უცნობი, 17 წლის ტ. კუბიცკა. გამოცდილებამ თავისი გაიტანა და მაკელენი კვლავ ჩემპიონი გახდა. მაგრამ არც კუბიცკა დარჩა უკმაყოფილო. ჩემპიონთან ერთად II ადგილზე გასულიც დაიცავს აშშ-ს სპორტულ სახელს მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატში. ამ ორი სპორტსმენის გარდა ბავარიის დედაქალაქში გამოვლენ კ. ო'კონორი და ჯ. მილნზი (სპორტული ცეკვები), და-ძმა ე. და ს. მილიები, მ. ფორდი და გ. პატერსონი.

● **ბრატისლავა, 19 თებერვალი.** გუშინ აქ გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ „ოდევასა“ და კიევის „სპარტაკის“ ქალთა გუნდებს შორის. კიეველებმა ალმაცლობით ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 21:15 (10:5). განმეორებითი მატჩი გაიმართება კიევში 27 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამას წინათ ბაკურიანში საქართველოს სსრ ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა მოთხილამურეთა პირად-გუნდური ასპარეზობა.

სურათებზე: ვაჟთა შორის 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებული თბილისის გუნდი; მარცხნიდან — გ. მაკიევი, ლ. სოლოიანი, ო. დიაკონაშვილი, ყ. ლალიევი. მარჯვნივ — ბორჯომის რაიონის ნაკრები (მარცხნიდან) ლ. მაკიევა, ს. ხუბაევა და ტ. ტერეხოვა, რომელმაც 3×5 კილომეტრზე ქალთა ესტაფეტაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა.

ო. გელაშვილის ფოტოები.

(ჩვენი სპეც. კორ.).



# „სპორტის დედოფალი“ მერი არ არის

## შეჯიბრება არ შედგა

## აქტივის კრება ჩაიშალა

როგორც ცნობილია, გაისად სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა ტარდება. წინა სპარტაკიადაში საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ერთი საფეხურით უკან დაიხია და ტრადიციული მეხუთე ადგილის ნაცვლად მეექვსეს დასჯერდა. ეს უკან დახევა მზადებაში დაშვებული შეცდომების ლოგიკური შედეგი იყო. რესპუბლიკური აქტივის კრებამ, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის შედეგებზე იმსჯელა, ნაკლოვანებები ამხილა და ნათი გამოსწორების გზები დასახა.

ფაქტიურად, ჩვენს რესპუბლიკაში მორიგი საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებაც იმ დღიდან დაიწყო, მაგრამ წლევანდელი წელი ამ საქმეში გადამწყვეტია. ძირითადად წლეულს უნდა შეირჩეს ძალები შიდასაკოლექტივო, საარაიონო, საოლქო და რესპუბლიკური სპარტაკიადებისთვის. შემდეგ რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალი დაასახელებს საქართველოს ნაკრების წევრებს საკავშირო ასპარეზობისთვის.

წლევანდელი ყველა მასშტაბის შეჯიბრებაც ამ ამოცანას ემსახურება. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებას თბილისში კარგა ხანია შეუდგნენ. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ყველა შეჯიბრება ამ დევიზით ტარდება: „ძალები ბრძოლაში შევამოწმოთ. გამოვლენილი ნაკლოვანებები დროულად დავძლიოთ!“.

მოსალოდნელი იყო, რომ თბილისის სპორტკომიტეტს ამ საქმეში მხარს აუბამდნენ დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტული კლუბები, მაგრამ ასე არ მოხდა.

როგორც ირკვევა, ბევრი ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, ბევრი სპორტული კლუბის გამგეობა ჯერ კიდევ ზამთრის ძილშია და გამოფხიზლებას არ აპირებს. ამ კოლექტივებში სპორტული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული, გუნდების დაკომპლექტებისთვის თავი არ შეუწუხებიათ.

დღეს ყველა ფიზკულტურულმა მუშაკმა შესანიშნავად იცის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მძლეოსნობას, ცურვას და სპორტულ ტანვარჯიშს საკავშირო თუ სხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. სწორედ ამ სახეობებში წარუმატებლობა იყო ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენი პოზიციების დათმობის მიზეზი. ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, ბევრი დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად თანდათან უარესდება.

ვნახოთ, რა მდგომარეობაშია „სპორტის დედოფალი“ თბილისში. წინასწარ ვიტყვით: მძლეოსნობა ასე ჩამორჩენილი ჯერ არ ყოფილა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ამ სახეობაში სავარჯიშოდ ბაზებიც არ გვყოფნის (მწვრთნელები ხშირად ამას იმიზეზებენ), ამხელა ქალაქში ერთადერთი „ლოკომოტივის“ სტადიონია, სადაც წვრთნისთვის შედარებით ნორმალური პირობებია შექმნილი (თუმცა საღღეისო მოთხოვნებს აღარც ამ სტადიონის სარბენი ბილიკები და სექტორები აკმაყოფილებს). როდის დამთავრდება „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, არავინ იცის, „ისნის“, თბილისის ასკ-ს, ლენინის სახელობის, „სინათლის“, „ივერიის“ სტადიონებზე მძლეოსნობაში წვრთნის პირობები ან არ არის, ან მეტად შეზღუდულია.

სამწუხაროდ, ზოგჯერ გამოუყენებელია არსებული ბაზებიც. მაგალითად, მძლეოსნები „ლოკომოტივის“ სტადიონსაც კი ვერ იყენებენ მთლიანად. ბილიკები და სექტორები ხშირად თავისუფალია. სპორტსაზოგადოებებს, უწყებებს, სპორტკლუბებს, ფიზკულტურის კოლექტივებს დედაქალაქში მძლეოსნობის მდგომარეობა ოდნავადაც არ აწუხებთ, არ ზრუნავენ ამ სახეობაში გუნდების შექმნისა და რეგულარული მეცადინეობისთვის.

ყოველივე ამას ნათლად ადასტურებს წლევანდელი სეზონის სტარტი. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა 29 იანვარს დაამტკიცა და კოლექტივებს იმავე დღეს დაუგზავნა დიდი საწარმოების, დაწესებულებებისა და სპორტული კლუბების გუნდურ პირველობათა დებულება. შეჯიბრება მიზნად ისახავდა კოლექტივებში გაწეული მუშაობის შემოწმებას, „იზვესტიის“ თასის გათამაშებისთვის თბილისის გუნდის კანდიდატების შერჩევას.

ასპარეზობა 16-18 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო „ლოკომოტივის“ სტადიონზე. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ქალებისთვის 13, ვაჟებისთვის კი 17 სახეობა. ჩათვლა მეტად გაიოლებული იყო: ნაადრევი სტარტის გამო გუნდებს ქულებს აძლევდნენ ის სპორტსმენები, რომლებიც მესამე თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ. კოლექტივებს ყოველ სახეობაში 2-2 მონაწილის გამოყვანის უფლება ეძლეოდათ. ყველა სპორტსმენს ესტაფეტის გარდა ორ სახეობაში ასპარეზობა შეეძლო. ამასთან, კოლექტივების მეტი დაინტერესების მიზნით მონაწილენი ორ ჯგუფად უნდა დაყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით, შეჯიბრების ორგანიზატორები ფიზკულტურის კოლექტივებს არაფრით ზღუდავდნენ. დებულება თბილისის 33 კოლექტივს გაუგზავნეს.

შედეგი? — მსაჯთა კოლეგია, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის წარმომადგენლები შაბათს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გუნდებს ამაოდ ელოდნენ. საქალაქო გუნდური პირველობა ჩაიშალა!?...

მართალია, მსაჯთა კოლეგიას წინასწარ განაცხადი ექვსმა კოლექტივმა წარუდგინა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის განაცხადში 35 სპორტსმენი იყო შეტანილი, უნივერსიტეტის განაცხადში — 29, სპორტკლუბ „მშენებელს“ (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) 27 სპორტსმენი უნდა გამოეყვანა, „განთიადს“ — 17, „ისინდს“ — 13, სამედიცინო ინსტიტუტს —12. მაგრამ, როგორც ხედავთ, სრული გუნდები არც მათ უმეტესობას ჰყავდა, მათი სპორტსმენთა ნაწილი კი სტარტზე არ გამოცხადდა.

ფიზკულტურის, პედაგოგიურ, უცხო ენების, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და თეატრალურ ინსტიტუტებს, სამხატვრო აკადემიას, კონსერვატორიას, სპორტკლუბებს — „სინათლეს“, „ფეიქარს“, „უშბას“, „გამარჯვებას“, „ივერიას“, „ელმავალს“, „ელვას“, აგრეთვე, აბრეშუმის კომბინატს, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკას, 1-ელ და მე-7 სამკერვალო ფაბრიკებს, მთავართბილმშენის № 14 ტრესტსა და სხვათა ორგანიზაციებს ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტში პასუხიც არ გამოუგზავნიათ, თორემ გუნდების გამოყვანაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ნუთუ ფიზკულტურის კოლექტივები იმით მაინც არ დაინტერესდნენ, რომ ამ შეჯიბრებაში მათს წარმომადგენლებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება შეეძლოთ?

თბილისში „სპორტის დედოფალს“ სათანადო პატივს რომ არ სცემენ, ამას კიდევ ერთი ფაქტი ადასტურებს: დეკემბრის დამლევს მძლეოსნობის საქალაქო ფედერაციის ანგარიშის მოსასმენად აქტივი უნდა შეკრებილიყო, მაგრამ... კრება არ შედგა. კრების ჩატარებაც და ფედერაციის ანგარიშის მოსმენაც ერთი თვით გადაიდო. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა, ფედერაციამ, მწვრთნელთა საბჭოს და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმებმა თითქმის ყველა მწვრთნელი, მსაჯი, ზასწავლებელი და საზოგადოებრივი მუშაკი სპეციალურად გააფრთხილეს.

აქტივის კრება ისევ ჩაიშალა. რაშია საქმე?

ზემოაღნიშნული ფაქტები საგანგაშოა. თუ მდგომარეობა ახლავე არ გამოსწორდა და გადამჭრელი ღონისძიებანი არ გატარდა, თბილისში მძლეოსნობის შემდგომ განვითარებაზე ფიქრიც ზედმეტი იქნება.

ო. გელაშვილი.

## დაფასებული ამაგი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსს ვლადიმერ ხოჯერიკს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ვ. ხოჯერიკმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და მას შემდეგ ემსახურება რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების საქმეს. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ფიზკულტურის დარგში. ვ. ხოჯერიკის შრომა დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ამას წინათ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოში მოეწყო შეხვედრა იუბილართან. ვ. ხოჯერიკს გულთბილად მიესალმა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ასათიანმა. ამაგდარს მიესალმნენ, აგრეთვე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი რ. კურეხელიძე, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. მახვილაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ვეტერანი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მ. ცხვედაძე.

ვ. ქუთათელაძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

საკლესი მოგვითხრობს

## ჩვენი ქვეყნის ქალაქებში

### სპორტი მკურნალის როლში

ტელემაყურებლები, რომლებიც ყოველ კვირა დღეს უყურებენ კაუნასიდან გადაცემას სამკურნალო ტანვარჯიშზე, ალბათ ვერც წარმოიდგენენ, რომ 12 წლის ალფრედას გასიუნასს, რომელიც ამ გადაცემაში ვარჯიშებს ასრულებს, ამ რამდენიმე ხნის წინათ ინვალიდობა ემუქრებოდა.

ექვსი წლის წინათ ბიჭი, რომელსაც ხერხემლის გამრუდება ჰქონდა, მშობლებმა ექიმ რუსტა ადომაიტენეს მიჰგვარეს (სხვათა შორის, სწორედ იგი ხელმძღვანელობს ზემოხსენებულ გადაცემას). ახალგაზრდა ექიმი მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ დახმარებას სპორტი გაუწევს.

კაუნასის ფიზკულტურულ-სამედიცინო დისპანსერის ექიმს რ. ადომაიტენეს, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტიც აქვს დამთავრებული, ამჟამად ასზე მეტი მუდმივი პატარა პაციენტი ჰყავს. ბავშვები მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ დისპანსერის კეთილმოწყობილ სპორტდარბაზში, სრიალებენ თხილამურებითა და ციგურებით. ქალაქის მოსწავლეთა ფიზკულტურის სასახლის აუზში უკვე ჩატარდა პირველი მეცადინეობები სამკურნალო ცურვაში.

ხ. ვაინტრაუბასი.

კაუნასი.

### ააგეს საკუთარი ძალებით

ტრესტ „ტამბოვსოვხოზსტროის“ კომკავშირელებმა გადაწყვიტეს ააგოთ დარბაზი, სადაც მთელი წლის მანძილზე ივარჯიშებდნენ სპორტში. მათ უფროსებმაც დაუჭირეს მხარი.

მუშაობას წარმართავდა კომკავშირული შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტრესტის მმართველის მოადგილე ვ. მატვეევი. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ენთუზიასტები მშენებლობაზე მიიჩქაროდნენ. ეწყობოდა მასობრივი შაბათობები. ამ საქმის მოთავენი სპორტსმენები იყვნენ. ნახაზები ტრესტის ინჟინრებმა შეადგინეს. თუ გაუჭირდებოდათ, ახალგაზრდები უფროსებს მიმართავდნენ დახმარებისთვის. ახალგაზრდებს ყველაზე მეტად დაეხმარა მემონტაჟეთა ბრიგადირი პ. მოხოროკი.

დადგა სასიხარულო დღეც: ტრესტის საერთო საცხოვრებლის გვერდით ახალი დარბაზი გაიხსნა, მოეწყო სპორტული დღესასწაული, რომელშიც ოლქის მოჭიდავეთა, თორმეტი გუნდი მონაწილეობდა (ჭიდაობა სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა ტრესტში).

მშენებელთა შორის აღმოჩნდნენ საზოგადოებრივი მწვრთნელებიც, რომლებმაც უკვე დაიწყეს მეცადინეობების ჩატარება კლასიკურ ჭიდაობაში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, აკრობატიკაში. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. მომავალში სხვა სახეობათა სექციებიც შეიქმნება.

ვ. სტეპანოვი.

ტამბოვი.

## „ლელო“ წერილის კვალდაკვალ

### „ვის ატყუებენ?!“

ამ სათაურით „ლელოს“ 1973 წლის 8 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო თბილისის კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტების ერთობლივი ღონისძიების — მასობრივი მძლეოსნური კროსის ჩატარებაში წესების უხეში დარღვევის ფაქტები, გაკრიტიკებული იყო მე-4, მე-5, 31-ე, 73-ე, 74-ე 104-ე, 117-ე, 140-ე, 154-ე საშუალო სკოლების, 27-ე პროფტექსასწავლებლის კოლექტივები, რომელთა მოსწავლეები მსაჯების თვალის ახვევას შეეცადნენ და ფონს გასვლას სიყალბით ცდილობდნენ.

გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ თბილისის 104-ე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ე. ჩახალიანმა სკოლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლის ვინაობის დადგენისას რედაქციას არაზუსტი ცნობა მიაწოდა — ი. ბალიბეგოვის ნაცვლად დაასახელა ამ სკოლის მეორე მასწავლებელი ვ. ავაქიანი, რომელსაც კროსთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

გაზეთის სიგნალი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მსჯელობის საგანი გახდა და სათანადო ღონისძიება დაისახა: 104-ე (დირექტორი ზ. დალაქიანი), 74-ე (გ. ბაღდასარიანი), 154-ე (ყოფილი დირექტორი ქ. გვაზავა), 117-ე (დირექტორი მ. ხვანიძე), 140-ე (ე. თხინვალელი) და 73-ე (ა. ნასიბოვი) სკოლების დირექტორებს მიეთითა, ხოლო ამ სკოლების ფიზაღზრდის უფროს მასწავლებლებს ი ბალიბეგოვს, მ. ენუქიანს, ნ. ბოჭორიშვილს, გ. ურდულაშვილს, ი. შერმადინს, ა. თოფჩიშვილსა და მე-5 სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს ნ. ტეტელაშვილს დაუდევრობისა და გულგრილობისთვის საყვედური გამოეცხადა.

## იზრდებიან თანრიგოსნები

ზუგდიდში თითქმის 150 ნორჩი მოჭადრაკე ეუფლება ამ თამაშის საიდუმლოებას ბავშვთა სპორტსკოლის ჯგუფებში (მწვრთნელი ოსტატობის კანდიდატი ნ. შოგირაძე) და ქალაქის სპორტკომიტეტის სექციაში (მწვრთნელი ოსტატობის კანდიდატი ჟ. ზარელუა). პატარები ხშირად მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ამას წინათ ექვსმა მოსწავლემ IV თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტსკოლის ჯგუფებისა და ქალაქის სპორტკომიტეტის სექციის გუნდების შეხვედრამ. გაიმარჯვეს ჟ. ზარელუას აღსაზრდელებმა — 9:3.

ქ. ფიფია,
(ჩვენი კორ.).

# სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარი

## პირველი წრე

### აპრილი

12. „არარატი“ (ერევანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (კიევი), „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (დონეცკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — ცსკა, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „კარპატი“ (ლვოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა).

21. „არარატი“ — ცსკა, „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „ფახთაქორი“ — „დინამო“ მ., „ზარია“ — „სპარტაკი“, „დინამო“ თბ. — „ტორპედო“, „ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“, „ყაირათი“ — „ზენიტი“, „ნისტრუ“ — „კარპატი“.

26. „სპარტაკი“ — „დინამო“ თბ.

27. „დინამო“ კ. — „არარატი“, „შახტიორი“ — „ზარია“, „დნეპრი“ — „ფახთაქორი“, „კარპატი“ — „ყაირათი“, „ტორპედო“ — ცსკა, „ზენიტი“ — „ნისტრუ“.

28. „დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“.

### მაისი

2. „არარატი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ კ. — „დინამო“ თბ., ცსკა — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“, „ზარია“ — „ნისტრუ“, „დნეპრი“ — „ყაირათი“, „ზენიტი“ — „ტორპედო“, „კარპატი“ — „ფახთაქორი“.

9. „არარატი“ — „დინამო“ მ., „ნისტრუ“ — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ თბ. — „ზენიტი“, „ფახთაქორი“ — „შახტიორი“, „ყაირათი“ — „ზარია“, „ტორპედო“ — „კარპატი“.

10. ცსკა — „დნეპრი“.

13. „სპარტაკი“ — „ნისტრუ“.

14. „ზენიტი“ — „არარატი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ., „დინამო“ მ. — „დინამო“ თბ., „ყაირათი“ — „შახტიორი“, „ფახთაქორი“ — „ზარია“, „დნეპრი“ — „ტორპედო“, „კარპატი“ — ცსკა.

23. „ნისტრუ“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ. — „არარატი“, „დინამო“ კ. — „სპარტაკი“, „ტორპედო“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „კარპატი“, „ზარია“ — „დნეპრი“, „ყაირათი“ — „ფახთაქორი“.

24. ცსკა — „ზენიტი“.

30. „სპარტაკი“ — „ზენიტი“.

31. „ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“, „არარატი“ — „ყაირათი“, „დინამო“ მ. — „დინამო“ კ., „დინამო“ თბ. — „ფახთაქორი“, „შახტიორი“ — „დნეპრი“, „ზარია“, — „კარპატი“, „ნისტრუ“ — ცსკა.

### ივნისი

9. „დინამო“ მ., — „ნისტრუ“.

10. „ფახთაქორი“ — „არარატი“, „დნეპრი“ — „დინამო“ კ., „კარპატი“ — „სპარტაკი“, „ყაირათი“ — „დინამო“ თბ., ცსკა — „ზარია“, „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“.

11. „ტორპედო“ — „შახტიორი“.

17. „დნეპრი“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — „ტორპედო“, „შახტიორი“ — „დინამო“ მ., ცსკა — „სპარტაკი“, „კარპატი“ — „დინამო“ თბ., „ზარია“ — „ზენიტი“, „ნისტრუ“ — „ყაირათი“, „ჩერნომორეცი“ — „ფახთაქორი“.

24. „დინამო“ მ., — „დნეპრი“.

25. ცსკა — „დინამო“ კ., „დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „ყაირათი“, „ზენიტი“ — „კარპატი“, „ნისტრუ“ — „ფახთაქორი“, „არარატი“ — „ზარია“.

26. „სპარტაკი“ — „ტორპედო“.

### ივლისი

1. „არარატი“ — „ჩერნომორეცი“, „კარპატი“ — „დინამო“ კ., „ზარია“ — „დინამო“ მ., „სპარტაკი“ — „დნეპრი“, „დინამო“ თბ., — „ნისტრუ“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „ყაირათი“ — ცსკა, „ფახთაქორი“ — „ტორპედო“.

9. „არარატი“ — „კარპატი“, „დინამო“ კ. — „ზენიტი“, „დინამო“ მ. — „სპარტაკი“, „დინამო“ თბ. — „დნეპრი“ „ნისტრუ“ — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „ზარია“, „კარპატი“ — „ტორპედო“, „ფახთაქორი“ — ცსკა.

13. „ნისტრუ“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — „ფახთაქორი“, „ზენიტი“, „დინამო“ მ., „სპარტაკი“ — „ყაირათი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ., „დნეპრი“ — „კარპატი“.

14. ცსკა — „შახტიორი“.

15. „ტორპედო“ — „ზარია“.

24. „ტორპედო“ — „ნისტრუ“.

25. „დინამო“ მ. — „კარპატი“.

26. „შახტიორი“ — „არარატი“, „დინამო“ კ — „ყაირათი“, „სპარტაკი“ — „ფახთაქორი“, „ზარია“ — „დინამო“ თბ., „ზენიტი“ — „დნეპრი“, „ჩერნომორეცი“ — ცსკა.

## მეორე წრე

### ივლისი

31. „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „ყაირათი“ — „არარატი“, „ტორპედო“ — „სპარტაკი“, „ფახთაქორი“ — „დინამო“ თბ., „დნეპრი“ — „შახტიორი“, „კარპატი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — ცსკა, „ჩერნომორეცი“ — „ნისტრუ“.

### აგვისტო

5. „დინამო“ მ. — ცსკა.

6. „სპარტაკი“ — „ზარია“, „არარატი“ — „ფახთაქორი“, „შახტიორი“ — „დინამო“ კ., „დინამო“ თბ. — „ყაირათი“, „ნისტრუ“ — „ზენიტი“, „ჩერნომორეცი“ — „კარპატი“.

7. „ტორპედო“ — „დნეპრი“.

14. „სპარტაკი“ — „არარატი“, „დინამო“ თბ. — „დინამო“ კ., „კარპატი“ — „შახტიორი“, „დნეპრი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — „ფახთაქორი“, „ნისტრუ“ — „ტორპედო“.

15. „დინამო“ მ. — „ყაირათი“.

16. ცსკა — „ჩერნომორეცი“.

19. „დინამო“ მ. — „ფახთაქორი“.

20. „კარპატი“ — „არარატი“, „სპარტაკი“ — „დინამო“ კ., „დნეპრი“ — ცსკა, „ზენიტი“ — „ყაირათი“.

21. „ტორპედო“ — „დინამო“ თბ.

29. „შახტიორი“ — „ნისტრუ“, „ზარია“ — „ჩერნომორეცი“.

### სექტემბერი

2. ცსკა — „დინამო“ თბ.

3. „ტორპედო“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — „ზარია“, „ნისტრუ“ — „დინამო“ მ., „ფახთაქორი“ — „დნეპრი“, „ყაირათი“ — „კარპატი“, „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“.

4. „სპარტაკი“ — „შახტიორი“.

8. „დინამო“ მ. — „ზარია“.

9. „არარატი“ — „დინამო“ კ., „დინამო“ თბ. — „სპარტაკი“, „ზენიტი“ — „შახტიორი“, „ყაირათი“ — „დნეპრი“, ცსკა — „ნისტრუ“, „ფახთაქორი“ — „კარპატი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“.

13. ცსკა — „არარატი“.

14. „დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“, „სპარტაკი“ — „დინამო“ მ.

15. „დნეპრი“ — „დინამო“ თბ., „შახტიორი“ — „ფახთაქორი“, „ზარია“ — „ყაირათი“, „ტორპედო“ — „ზენიტი“, „კარპატი“ — „ნისტრუ“.

21. ცსკა — „ტორპედო“.

22. „დინამო“ მ. — „არარატი“, „დინამო“ კ. — „კარპატი“, „ნისტრუ“ — „სპარტაკი“, „ზენიტი“ — „დინამო“ თბ., „შახტიორი“ — „ყაირათი“, „ზარია“ — „ფახთაქორი“, „დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“.

### ოქტომბერი

6. „არარატი“ — „ზენიტი“, „ტორპედო“ — „დინამო“ კ., „დინამო“ თბ. — „დინამო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“, „ნისტრუ“ — „ზარია“, „კარპატი“ — „დნეპრი“, „ფახთაქორი“ — „ყაირათი“.

7. „სპარტაკი“ — ცსკა.

12. ცსკა — „კარპატი“.

13. „არარატი“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ კ. — „დნეპრი“, „დინამო“ მ. — „ტორპედო“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“, „ზარია“ — „შახტიორი“, „ყაირათი“ — „ნისტრუ“, „ფახთაქორი“ — „ჩერნომორეცი“.

19. „ზარია“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — ცსკა, „დინამო“ მ. — „ზენიტი“, „დნეპრი“ — „სპარტაკი“.

20. „შახტიორი“ — „დინამო“ თბ., „ყაირათი“ — „ჩერნომორეცი“, „ფახთაქორი“ — „ნისტრუ“, „კარპატი“ — „ტორპედო“.

25. ცსკა — „ყაირათი“.

26. „ტორპედო“ — „ფახთაქორი“.

27. „არარატი“ — „შახტიორი“, „ზენიტი“ — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ., „სპარტაკი“ — „კარპატი“, „დინამო“ თბ. — „ზარია“, „ნისტრუ“ — „დნეპრი“.

### ნოემბერი

2. „არარატი“ — „დნეპრი“, „დინამო“ კ. — „ნისტრუ“, „დინამო“ მ. — „შახტიორი“, „სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“.

3. „დინამო“ თბ. — „კარპატი“, „ზენიტი“ — „ზარია“, „ტორპედო“ — „ყაირათი“, ცსკა — „ფახთაქორი“.

10. „ჩერნომორეცი“ — „არარატი“, „ფახთაქორი“ — „დინამო“ კ., „დნეპრი“ — „დინამო“ მ., „ყაირათი“ — „სპარტაკი“, „ნისტრუ“ — „დინამო“ თბ., „შახტიორი“ — ცსკა, „ზარია“ — „ტორპედო“, „კარპატი“ — „ზენიტი“.

17. „არარატი“ — „ნისტრუ“, „ყაირათი“ — „დინამო“ კ., „კარპატი“ — „დინამო“ მ., „ფახთაქორი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ თბ. — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „ტორპედო“, „ზარია“ — ცსკა, „დნეპრი“ — „ზენიტი“.

## ფეხბურთი-74





**ლ**ამაზი სანახავია აფროსანთა შეჯიბრება. განა შეიძლება თვალი არ მოგტაცოს ცისფერ ტალღებზე თეთრად მოქათქათე აფრებმა? ასეა ზაფხულში, ზამთრობით კი აფროსნები ყინულის იახტებით — ბუერებით გამოდიან სარბიელზე. სპორტის ეს სახეობა დიდი ხანია პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის ბევრი რესპუბლიკისა და ქალაქის სპორტსმენთა შორის. რეგულარულად ტარდება სამატჩო შეხვედრები და სსრ კავშირის ჩემპიონატები. საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. ისინი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორები არიან.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან): „დნ“ საერთაშორისო კლასის ბუერების სტარტი სსრ კავშირის ჩემპიონატში; ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი, სპორტსაზოგადოება „იიუდის“ წევრი, ესტონელი ე. ვოორემაა.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

## 95:77

რიგა, 19 თებერვალი. გუშინ გაიმართა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პრინციპული მატჩი ადგილობრივ არმიელებსა და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის. რომ არაფერი ვთქვათ ამ კოლექტივების ტრადიციულ სპორტულ ქიშპობაზე, მატჩი პრინციპული იყო იმიტომაც, რომ ორივე გუნდს უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშროება ემუქრება.

არმიელებმა ეს შეხვედრა უკეთ ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 95:77 (42:40).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 15 | 14 | 1362—1169 | 14 |
| „სპარტაკი“ | 15 | 12 | 1114—992 | 12 |
| „კალევი“ | 15 | 10 | 1204—1095 | 10 |
| „სტროიტ.“ | 16 | 9 | 1316—1262 | 9 |
| „დინ.“ (მ.) | 14 | 7 | 1111—1101 | 7 |
| „დინ.“ (თბ.) | 16 | 7 | 1210—1237 | 7 |
| რტი | 15 | 5 | 1053—1209 | 5 |
| ასკ (რიგა) | 16 | 5 | 1214—1335 | 5 |
| „ჟალგირისი“ | 15 | 4 | 1112—1163 | 4 |
| ასკ (კიევი) | 15 | 3 | 1093—1226 | 3 |

## კიეველებთან 0:0

ლესელიძე, 18 თებერვალი. აქ შედგა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობებს შორის.

ქუთაისელებმა შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებთან ფრედ ითამაშეს — 0:0. ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: გაბელია, აბზიანიძე (ვოგიჯანაშვილი), ქუთათელაძე, ბერულავა, ჰოხონელიძე, ფარულავა, ოქროპირაშვილი, შელია (ქვირია), ფესტვენიძე, გაგუა (ვოლაძე), გაბიჩვაძე.

## მინი-ფეხბურთი დაიწყო

18 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული საქალაქო გათამაშება. როგორც ყოველთვის, ნორჩთა თამაშებს მაყურებელი არ აკლია.

მოეწყო ტურნირის საზეიმო გახსნა. მონაწილეებს სიტყვით მიმართა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ.

პირველი დღის შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: „შევარდენი“ — „არაგვი“ 3:2, „ივერია“ — „ჩიორა“ — 2:5, „სინათლე“ — „ვარძია II“ 4:2, „ვარძია I“ — „განთიადი I“ — 2:2, „კრწანისი“ — „განთიადი II“ — 0:0, „ავაზა“ — „თერგი“ 3:1.

თამაშები მიმდინარეობს საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე.



• • •

სურათზე: მინი-ფეხბურთის ერთ-ერთი მომენტი.

## კალათბურთი

## სამი ცნობილი და ერთი უცნობი

დასასრულს უახლოვდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირები კალათბურთელ ვაჟთა შორის. საპატიო პრიზისთვის მებრძოლ კოლექტივებს ჩასატარებელი დარჩათ ორ-ორი შეხვედრა, მაგრამ ზოგიერთი ნახევარფინალისტის ვინაობა უკვე დღესვე ცნობილია.

მაგალითად, მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში ესპანეთის ჩემპიონსა და საპატიო პრიზის მრავალგზის მფლობელს, მადრიდის „რეალს“ უკვე მოპოვებული აქვს ასპარეზობის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება. ეს ცნობილი გახდა ესპანელებისა და იუგოსლავიის ჩემპიონ „რადნიჩკის“ განმეორებითი მატჩის შემდეგ. პირველი ბრძოლა „რეალმა“ შინ მოიგო 39 ქულის სხვაობით. მართალია, იუგოსლავიაში ეს გუნდი დამარცხდა (87:95), მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში მისი უპირატესობა უდავო იყო — 200:169.

„რეალმა“ პირველი მეოთხედფინალური მატჩიც მოიგო სოფიის „აკადემიკთან“ — 211:168 (ორი შეხვედრის ჯამში), 2 ქულა დააგროვა და ავსტრიის „ვინერბერგერთან“ ბოლო მატჩების მიუხედავად, უკვე მოიპოვა საპატიო ჯილდოსთვის შემდგომი ბრძოლის უფლება.

მეორე ნახევარფინალისტის მდგომარეობა ამ ჯგუფში ჯერ კიდევ გაურკვეველია. ცნობილია მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ სოფიის „აკადემიკს“ ბრძოლის გაგრძელების არავითარი შანსი აღარ დარჩა. „ვინერბერგერსა“ და „რადნიჩკის“ თითო ქულა აქვთ. ნახევარფინალისტსაც სწორედ ამ კოლექტივების ორი მატჩი დაასახელებს.

მეორე ჯგუფში მდგომარეობა ნათელია. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახლანდელმა მფლობელმა, ვარესეს „ინისმა“ უკვე 2 ქულა დააგროვა. „ინისს“, „რეალისგან“ განსხვავებით, ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, ბოლო ბრძოლა კი ანტვერპენის „რესინგს“ მოუგო — 89:63. „ინისს“ აქვს გატანილი და მიღებული ბურთების ბრწყინვალე ბალანსი (365:296) და საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის რეალური შანსი.

ამ ჯგუფში უკვე გაირკვა მეორე ფინალისტის ვინაობაც. ესაა საფრანგეთის ჩემპიონი ას „ბერკი“, რომელმაც, ისევე როგორც „ინისმა“, ორი შეხვედრა მოიგო — ანტვერპენის „რესინგთანაც“ და ტელ-ავივის „მაკაბისთანაც“. ლიდერებს ერთმანეთში ჩასატარებელი აქვთ პრესტიჟის ორი მატჩი. ასევე პრესტიჟის მატჩები შეიძლება ვუწოდოთ „რესინგისა“ და „მაკაბის“ შეხვედრებს, ვინაიდან ნახევარფინალში გამოსვლის უფლება მათ ფაქტიურადაც და ფორმალურადაც უკვე დაკარგული აქვთ.

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირების ცხრილებს:

I ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ას „ბერკი“ (საფრანგეთი) | 2 | 2 | 0 | 377—266 | 2 |
| „ინისი“ (იტალია) | 2 | 2 | 0 | 365—296 | 2 |
| „მაკაბი“ (ისრაელი) | 2 | 0 | 2 | 296—377 | 0 |
| „რესინგი“ (ბელგია) | 2 | 0 | 2 | 266—365 | 0 |

II ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „რეალი“ (ესპანეთი) | 2 | 2 | 0 | 411—337 | 2 |
| „ვინერბერგერი“ (ავსტრია) | 2 | 1 | 1 | 343—337 | 1 |
| „რადნიჩკი“ (იუგოსლავია) | 2 | 1 | 1 | 328—355 | 1 |
| „აკადემიკი“ (ბულგარეთი) | 2 | 0 | 2 | 346—399 | 0 |

# დიდი მოვლენა კუბის სპორტულ ცხოვრებაში

ჰავანა, 19 თებერვალი. კუბის სპორტულ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ხდება — მზადდება მუშათა სპორტული თამაშები, რომელიც პირველი იქნება თავისუფლების კუნძულის ისტორიაში. სწორედ ამ ასპარეზობისთვის მზადების საკითხს მიეძღვნა გაფართოებული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კუბის კომპარტიისა და რევოლუციური მთავრობის წევრები, მშრომელთა პროფცენტრისა და რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამოცხადდა ამ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტის თავმჯდომარეა კუბის მშრომელთა პროფცენტრის მდივანი როსარიო ფერნანდესი, საპატიო წევრები — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბელარმინო კასტილია, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის მშრომელთა პროფცენტრის გენერალური მდივანი ლასარო პენიია, სპორტისა და ფიზაღზრდის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ხორხე გარსია ბანგო და კუბის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მანუელ გონსალეს გერა.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა ბ. კასტილიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რევოლუციის გამარჯვების შედეგად კუბაში სპორტი მშრომელი ხალხის კუთვნილებად იქცა. მუშათა პირველი სპარტაკიადა მიზნად ისახავს განამტკიცოს სოციალისტური კუბის მიღწევები სპორტის სფეროში. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება ამ ქვეყნის სპორტის განვითარებაში.

თამაშებისთვის მზადება ფართოდ გაიშალა კუბის ყველა პროვინციაში. ფაბრიკებსა და ქარხნებში, სხვა საწარმოებში ტარდება შესარჩევი შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ბეისბოლსა და მაგიდის ჩოგბურთში. როგორც გაზეთი „გრანმა“ წერს, ყველაზე აქტიურად კამაგუეის პროვინცია ემზადება.

სპეციალური კომისია ემზადება საკონკურსოდ გაგზავნილი მუსიკალური ნაწარმოების განსახილველად. ამ კონკურსის მიზანია საუკეთესო სპორტული მარშის — მუშათა სპარტაკიადების ჰიმნის შექმნა.

მუშათა პირველი სპორტული თამაშების გახსნა დანიშნულია მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს.

შარშან ოფიციალურად აღიარეს სპორტის კიდევ ერთი სახეობა — ფიგურული ცურვა. იგი შეიტანეს სპორტის საწყლოსნო სახეობების პირველი მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში, რომელიც იუგოსლავიაში ჩატარდა. მაგრამ ფიგურული ცურვა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში იყო დანერგილი. რომის იმპერიის დროს ხშირად ეწყობოდა წყალზე ცეკვა არფის თანხლებით. ამჟამად ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე, იაპონიასა და ამერიკაში რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები ფიგურულ ცურვაში. ამ სახეობაში, ისევე როგორც მხატვრულ ტანვარჯიშში, მხოლოდ ქალები ასპარეზობენ.

ფიგურული ცურვა უკვე საბჭოთა ქვეყანაშიც ინერგება. ამ სახეობის სექციები შექმნილია ლენინგრადში, მოსკოვში და ქვეყნის სხვა ქალაქებში. უკვე ტარდება ამხანაგური შეხვედრები გუნდებს შორის. უდავოა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებში ფიგურული ცურვა დიდ პოპულარობას მოიპოვებს.



ს უ რ ა თ ზ ე: ფიგურული ცურვის სექციის მეცადინეობა ლენინგრადის ასკ-ს საცურაო აუზში.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.



# ფინალისტთა საქმეები

● ბრაზილიის ცნობილი კლუბი „ბოტაფოგო“ ერთობ წარუმატებლად გამოდის ეროვნულ გათამაშებაში. ამას ისიც დაერთო, რომ წამყვანი ფეხბურთელი ჟაირზინიო სისტემატურად, ყოველდღე ნამდვილ სკანდალს უტეხს კლუბის ხელმძღვანელობას. ახლა ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი აქვს დისციპლინარულ კომისიას გადასცეს ჟაირზინიოს საკითხი, ეს კი უბრალო საქმე არაა: ბრაზილიაში მოქმედი კანონებით, ფეხბურთელს ნაკრებში თამაშის უფლება არა აქვს, თუ უწესოდ იქცევა.

ნაკრების მწვრთნელი მ. ზაგალო ჩაერია ამ კონფლიქტში და სურს ინციდენტი დროზე ჩააქროს. ხუმრობაა? — საქმე ეხება თვით ჟაირზინიოს!

მ. ზაგალო ბოლო ხანებში ევროპის ხშირი სტუმარი გახდა. მას აინტერესებს II ფინალურ ჯგუფში თავის უშუალო მეტოქეთა, აგრეთვე, გფრ-ის გუნდის საკითხი. ბრაზილიურ პრესაში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, სადაც აფრიკაში ნამყოფი სპეციალისტები ძალიან აქებენ ზაირის ფეხბურთელებს, ამიტომ ზაგალოს სურს თვითონ ნახოს აქაური გუნდები. ამ მიზნით იგი მალე ეწვევა ზაირს.

● იუგოსლავიის გუნდთან განცდილი მარცხის შემდეგ ჟურნალისტებმა შეკითხვით მიმართეს ესპანეთის ნაკრების სელექციონერს ლ. კუბალას: ვინ მიგაჩნიათ ფინალური გათამაშების ფავორიტებადო? ლ. კუბალამ უპასუხა: იტალია ან პოლონეთი.

● არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები მაისის შუა რიცხვებში ჩავა ევროპაში, სადაც ფინალური გათამაშების დაწყებამდე 3 საკონტროლო მატჩს გამართავს: 18 მაისს — საფრანგეთის ნაკრებთან (პარიზში), 22 მაისს — ინგლისის ნაკრებთან (ლონდონში) და 29 მაისს ფლორენციაში — იტალიის „ფიორენტინასთან“.

● თავიანთი საკონტროლო მატჩების გეგმა გამოაქვეყნეს შოტლანდიელებმაც. მათ 5 სპარინგ-მატჩი ექნებათ მაისში, აქედან 3 შედის დიდი ბრიტანეთის ტრადიციული გათამაშების პროგრამაში — ინგლისის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და უელსის გუნდებთან. 1 ივნისს შოტლანდიელები ბრიუსელში შეხვდებიან ბელგიის ნაკრებს, ხოლო 6 ივნისს ოსლოში — ნორვეგიის გუნდს.

● მას შემდეგ, რაც ამსტერდამის „აიაქსმა“ ევროპის „სუპერ-თასი“ მოუგო იტალიის „მილანს“ (0:1, 6:0), ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ფადრონნმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ისეთივე წარმატებით გამოვიდეს მსოფლიო ჩემპიონატში, როგორც ეს კლუბი თამაშობს.

● 26 თებერვალს დაგეგმილია იტალიისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების საკონტროლო მატჩი. იტალიელები შესუსტებული შემადგენლობით გამოვლენ მინდორზე, ვინაიდან ერთ-ერთ ბოლო კალენდარულ მატჩში სერიოზულად დაშავდა თავდასხმის ლიდერი რივა. მაგრამ იმ დღეს გერმანელებსაც არ ეყოლებათ ნეცერი, რომელსაც მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა არ ათავისუფლებს.

● ბულგარეთის ნაკრებმა დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების მორიგი ეტაპი. ბულგარელებს საკონტროლო შეხვედრა ჰქონდათ კიპროსზე, იქაურ „ანოსტოსისთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:0. აღსანიშნავია, რომ 7 ბურთი გაიტანა ბონევმა.

## ცრემლმდენი გაზი გულშემატკივართა წინააღმდეგ

ეს მოხდა იტალიის ქალაქ ბარიში. ერთმანეთს ხვდებოდნენ ფეხბურთელთა ადგილობრივი გუნდი და კლუბი „ატალანტა“. მატჩის დამთავრების შემდეგ თავისი გუნდის დამარცხებით გაშმაგებული რამდენიმე ათასი „ტიფოზი“ მინდორს მოეფინა და ქვები დაუშინა ფეხბურთელებს. „ტიფოზები“ ასევე გაუსწორდნენ მსაჯებსაც, ამტვრევდნენ სარეკლამო ფარებს და ტრიბუნების მოაჯირებს. პოლიცია იძულებული გახდა გაშმაგებული გულშემატკივრების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზის ხელყუმბარები გამოეყენებინა.

სტადიონზე თხუთმეტამდე ადამიანი დაიჭრა.

## „როზარიო“ — არგენტინის ჩემპიონი

არგენტინის ჩემპიონატი თავისებური სისტემით ტარდება: უმაღლესი ლიგის ხანგრძლივი გათამაშება ავლენს არა ჩემპიონს, არამედ 4 პრიზიორს, რომლებიც შემდეგ ერთ წრედ ხვდებიან ერთმანეთს I-IV ადგილებისთვის. ასეთი სისტემა მხოლოდ არგენტინაში მოქმედებს.

ამ თავისებურ „ფინალის ფინალში“ გავიდნენ ცნობილი კლუბები: „რივერ პლატა“, „ატლანტა“, „სან-ლორენცო“ და „როზარიო“. აი, მათი შეხვედრების შედეგები: „როზარიო“ — „რივერ პლატა“ 3:1, „სან-ლორენცო“ — „ატლანტა“ 0:0, „რივერ პლატა“ — „სან-ლორენცო“ 3:2, „როზარიო“ — „ატლანტა“ 2:1, „სან-ლორენცო“ — „როზარიო“ 1:1, „ატლანტა“ — „რივერ პლატა“ 2:2.

ამრიგად, 5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა „როზარიომ“. 3 ქულა აქვს „რივერ პლატას“, 2-2 — „ატლანტასა“ და „სან-ლორენცოს“.

● ●

## ბეკენბაუერის იმედები

მიუნხენის „ბაიერნი“ ახლა საუკეთესო ფორმაშია. გუნდის კაპიტანმა ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონისგან ბევრს მოელის. „ჩვენ გვინდა არა მარტო გფრ-ის ჩემპიონობა, არამედ ჩემპიონთა თასის მოპოვებაც. მალე მწყობრში ჩადგება კაპელმანი და მერე წინ ველარავინ დაუდგება მიულერსა და ჰიონესს“ (ახლა ჰიონესი დროებით მინდვრის შუაგულში თამაშობს).

● ●

## ვეტერანები სარბიელს არ ტოვებენ

ურუგვაის ნაკრების გამოჩენილი ვეტერანები — მეკარე მაზურკევიჩი, მცველი ანჩეტა, ნახევარმცველები ფორლანი და როჩა ახლა ბრაზილიის კლუბებში გამოდიან.

ურუგვაის ნაკრების ახალმა ხელმძღვანელობამ ოთხივე ვეტერანს მოუწოდა, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში ითამაშეთო და თანხმობაც მიიღო.




## „საფესტივალოს“ სადარბაზო

სოფია, 18 თებერვალი. ბულგარეთის დედაქალაქის სპორტულ დარბაზ „საფესტივალოში“ მიმდინარე სტუდენტ მძლეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა საბჭოთა სპორტსმენი ქალი, მოსკოველი ლ. მასლაკოვა, რომელმაც 60 მეტრი 7,3 წამში გაირბინა. ტამბოველი ა. გონჩაროვი პირველი იყო 800 მეტრზე რბენაში — 1.52,3. ქალებში ჩელიაბინსკელმა ტ. კაზანკინამ ამ სეზონში სსრ კავშირისთვის საუკეთესო დრო — 2.06,4 აჩვენა, მაგრამ II ადგილი ხვდა წილად. პირველი იყო გ. ჰოფმაისტერი (გდრ) — 2.04,9.

მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები სიმაღლეზე ხტომაში: რ. კირსტმა (გდრ) 192 სმ გადალახა. ეს მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.


რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.





გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.



ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02480